shuakhevi municipality
Digitally signed by shuakhevi municipality
Date: 2022.04.12 12:22:24 +04'00'

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული შუახევის მუნიციპალიტეტზე გადასაცემი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის ფარგლებში - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დღვანის ბაგა-ბაღის მშენებლობის დასრულების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით გამოსაცხადები ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

დაბა შუახევი

სხდომას ესწრებოდნენ:

ანზორ ცეცხლაძე – სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

მაია ტაკიძე - სატენდერო კომისიის წევრი - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ჯიმშერ აბაშიძე - სატენდერო კომისიის წევრი - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი თეონა დიასამიძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:

მირიან აბაშიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

მალხაზ უსტიაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახაზინო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

გიორგი ივანაძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურის მოვალეობის შემსრულებელი.

დღის წესრიგი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული შუახევის მუნიციპალიტეტზე გადასაცემი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის ფარგლებში - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დღვანის ბაგა-ბაღის მშენებლობის დასრულების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის წევრმა – მაია ტაკიძემ, სატენდერო კომისიას სხდომაზე წარუდგინა ელექტრონული ტენდერის განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის და ტენდერის ჩატარების შესახებ განაცხადის პროექტს.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული შუახევის მუნიციპალიტეტზე გადასაცემი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის ფარგლებში - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ დღვანის ბაგა-ბაღის მშენებლობის დასრულების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია თანდართული რედაქციით;

2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს - **226000 (ორას ოცდაექვსი ათასი)** ლარით.

3. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს: **დღგ-ს გათვალისწინებით;**

4. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის დანაყოფი: 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

5. დაფინანსების წყარო: ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი **100%;**

6. შეთავაზების ფასის კლების ბიჯი განისაზღვროს: **1500 (ათას ხუთასი)** ლარის ოდენობით;

7. მოხდეს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა და ელექტრონული ტენდერი გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მეთოდით (აბრევიატურა: NAT).

კომისიის თავმჯდომრის მოადგილე: ანზორ ცეცხლაძე

კომისიის წევრი: მაია ტაკიძე

კომისიის წევრი: ჯიმშერ აბაშიძე